

შპს „მაილინ გრუპ“

**2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		3 890	492 297	122 519
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1	25 583	3 104 571	8 336 165
გადახდილი ავანსები		309 512	248 973	481 904
გაცემული მოკლევადიანი სესხები	2	598 192	974 553	898 420
მარაგები		698 974	2 709 948	4 192 273
წინასწარ გადახდილი გადასახადები		2 360	4 131	530 123
სხვა მიმდინარე აქტივები		3 693	5 046	11 509
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 642 204	7 539 518	14 572 913
ძირითადი საშუალებები	3	1 543 320	1 564 736	1 410 940
არამატერიალური აქტივები		-	-	4 649
საინვესტიციო ქონება		438 864	472 739	535 184
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოში		2 582 236	2 582 236	2 582 236
სულ აქტივები		6 206 623	12 159 228	19 105 920
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		97 854	148 854	799 641
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		66	-	1 176
საგადასახადო ვალდებულებები		49 856	113 380	42 679
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	4	0	0	31 550
მოკლევადიანი ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან		-	-	32 085
სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები		-	-	1 965 960
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	1 309	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		147 776	263 543	2 873 092
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4	27 748 859	38 962 546	47 374 164
სულ ვალდებულებები		27 896 635	39 226 089	50 247 256
საკუთარი კაპიტალი		761 290	761 290	761 290
დაგროვილი ზარალი		(22 451 301)	(27 828 150)	(31 902 625)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6 206 623	12 159 228	19 105 920

დირექტორი

ზაზა დუდაური _____

შპს „მაილინ გრუპ“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2022	2021
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები		3 513 819	4 407 413
გაყიდვების თვითღირებულება		(2 000 720)	(2 473 606)
საერთო მოგება		1 513 098	1 933 807
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(164 487)	(112 018)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(66 734)	(65 871)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(180 336)	(244 518)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	-
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 101 541	1 511 401
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6	50	400 179
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	7	(79 125)	(29 085)
საპროცენტო შემოსავალი		69 775	-
საპროცენტო ხარჯი		(164 067)	(300 228)
კურსთაშორის სხვაობა - ნეტო		4 448 675	2 492 209
სხვა ფინანსური ხარჯები		-	-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		5 376 849	4 074 476
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		5 376 849	4 074 476
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		5 376 849	4 074 476

დირექტორი

ზაზა დუდაური _____

შპს „მაილინ გრუპ“

კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება

ქართული ლარი	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	761 290	(31 902 625)	(31 141 336)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	4 074 476	4 074 476
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	761 290	(27 828 150)	(27 066 860)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	5 376 849	5 376 849
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	761 290	(22 451 301)	(21 690 011)

დირექტორი

ზაზა დუდაური _____

შპს „მაილინ გრუპ“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	2 022	2 021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6 918 321	7 929 637
გადახდილი გასამრჯელოები	(167 219)	(160 464)
გადახდილი სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	(339 293)	(1 609 002)
გადახდილი გადასახადები	(713 434)	(66 183)
სხვა საოპერაციო ფულადი ნაკადები	416	(63 341)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	5 698 792	6 030 647
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(119)	(73 623)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	337 998
მიღებული პროცენტები	14 000	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	13 881	264 375
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	500	6 016 441
მიღებული სესხის გადახდა	(6 459 285)	(11 563 604)
სესხის გაცემა	(31 000)	(85 400)
გაცემული სესხის დაბრუნება	462 780	8 050
ფულადი სახსრები კაპიტალის განაღდებად	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-
გადახდილი პროცენტები	(164 067)	(297 826)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(6 191 072)	(5 922 339)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(478 399)	372 683
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	492 297	122 519
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(10 008)	(2 905)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	3 890	492 297

დირექტორი

ზაზა დუდაური _____

**2022 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მაილინ გრუპ“ (შემდგომში – კომპანია ან/და ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2007 წლის 28 მაისს თბილისის საგადასახადო ინჰექციის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205207364, მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, იუსტინე აბულაძის ქ. #15, ბინა #1. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. ჯგუფი დამფუძნებელი პარტნიორია უცხოური საწარმო:

შპს „ლინვილ ლიმიტედ“ (HE184689) - წილის ფლობა 100%;

1.3. ჯგუფის დირექტორია ზაზა დუდაური (75 3918139, 71 0757873).

1.4. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უძრავი ქონების მშენებლობა შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ჯგუფის შემადგენელი კომპანიების საქმიანობა ასევე მოიცავს ალკოჰოლური სასმელებით და სპორტული ეკიპირებით საბითუმო ვაჭრობას.

1.5. მაილინ გრუპ ფლობს და აკონტროლებს შემდეგ საწარმოებს:

	2022 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2022 წლის 1 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2021 წლის 1 იანვრისთვის ფლობილი წილი, %
შვილობილები			
შპს ალპინ სპორტს	100%	100%	100%
შპს ლაქსანტ ფრანსე	100%	100%	100%
შპს ქეი ემ ეი	100%	100%	100%
შპს ალაზნის ჭალა	0%	0%	100%
შპს მაილინ დეველოპმენტ	100%	100%	100%
შპს მაილინ ტრედიდინგი	100%	100%	100%
სულ	100%	100%	100%

ჯგუფს ჰყავს მეკავშირე საწარმო:

შპს ღვინის ქარხანა #1, ს/კ 404401544 - წილის ფლობა 39%

1.6. 2022 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 7 კაცს.

1.7. ჯგუფის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის სუბიექტს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

ლარი	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან	21 383	3 104 155
სხვა დებიტორული მოთხოვნები	4 200	416
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25 583	3 104 571

3.2. გაცემული სესხები:

ლარი	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი სესხების ძირითადი თანხა	86 170	518 021
მოკლევადიანი სესხი საპროცენტო ნაწილი	512 022	456 532
სულ გაცემული მოკლევადიანი სესხები	598 192	974 553

3.3. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და კომპიუტერული ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა საშუალებები	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1 353 518	149 873	51 084	123 115	6 672	1 684 262
შესყიდვები	11 325		119	-	-	11 444
გასვლები	-		-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 364 843	149 873	51 203	123 115	6 672	1 695 706
ცვეთა						
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(5 620)	(21 368)	(91 057)	(1 481)	(119 527)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(7 494)	(7 463)	(16 546)	(1 357)	(32 860)
გასვლები	-		-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 364 843	136 760	22 372	15 512	3 834	1 543 320
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარს	1 353 518	144 253	29 716	32 058	5 191	1 564 736
2022 წლის 31 დეკემბრს	1 364 843	136 760	22 372	15 512	3 834	1 543 320

3.4. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები:

ლარი	31/12/2022	31/12/2021
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულები ძირითადი თანხა	9 591 246	18 028 641
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულები საპროცენტო ნაწილი	18 157 613	20 933 906
სულ მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	27 748 859	38 962 547

3.5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

ლარი	2022	2021
რეკლამა, მარკეტინგი და მიწოდების სხვა ხარჯი	100 329	111 602
კომუნიკაციის ხარჯი	9 840	13 217
კომუნალური ხარჯი	4 480	4 656
საკანცელარიო და სხვა საოფისე ხარჯი	246	1 689
იჯარის ხარჯი	0	4 782
საბანკო და კონვერტაციის ხარჯი	27 646	43 321
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	17 571	2 580
ძირ. საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	878	345
საგადასახადო ხარჯი	8 735	8 737
წარმომადგენლობითი ხარჯი	281	143
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	10 330	53 446
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	180 336	244 518

3.6. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2022	2021
ვალდებულების კორექტირება/პატიება	17	97 024
გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსავალი	0	301 358
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	33	1 797
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	50	400 179

3.7. სხვა არასაოპერაციო ხარჯი:

ლარი	2022	2021
ჯარიმა-საურავები	13 929	20 803
გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული ზარალი	0	0
არაფინანსური აქტივების გაუფასურება	65 196	4 649
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	3 634
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	79 125	29 086

3.8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება და შემდგომი მოვლენები:

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს. 2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს „მაილინ გრუპ“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2022	2021
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები		3 513 819	4 407 413
გაყიდვების თვითღირებულება		(2 000 720)	(2 473 606)
საერთო მოგება		1 513 098	1 933 807
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(164 487)	(112 018)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(66 734)	(65 871)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(180 336)	(244 518)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	-
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 101 541	1 511 401
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6	50	400 179
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	7	(79 125)	(29 085)
საპროცენტო შემოსავალი		69 775	-
საპროცენტო ხარჯი		(164 067)	(300 228)
კურსთაშორის სხვაობა - ნეტო		4 448 675	2 492 209
სხვა ფინანსური ხარჯები		-	-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		5 376 849	4 074 476
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		5 376 849	4 074 476
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		5 376 849	4 074 476

ზაზა დუდაური დირექტორი




შპს „მაილინ გრუპ“

კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება

ქართული ლარი	საკუთარი კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	761 290	(31 902 625)	(31 141 336)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	4 074 476	4 074 476
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	761 290	(27 828 150)	(27 066 860)
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	5 376 849	5 376 849
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	761 290	(22 451 301)	(21 690 011)

ზაზა დუდაური

დირექტორი



შპს „მაილინ გრუპ“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	2 022	2 021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6 918 321	7 929 637
გადახდილი გასამრჯელოები	(167 219)	(160 464)
გადახდილი სავაჭრო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	(339 293)	(1 609 002)
გადახდილი გადასახადები	(713 434)	(66 183)
სხვა საოპერაციო ფულადი ნაკადები	416	(63 341)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	5 698 792	6 030 647
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(119)	(73 623)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-	337 998
მიღებული პროცენტები	14 000	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	13 881	264 375
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	500	6 016 441
მიღებული სესხის გადახდა	(6 459 285)	(11 563 604)
სესხის გაცემა	(31 000)	(85 400)
გაცემული სესხის დაბრუნება	462 780	8 050
ფულადი სახსრები კაპიტალის განაღდებად	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-
გადახდილი პროცენტები	(164 067)	(297 826)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(6 191 072)	(5 922 339)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(478 399)	372 683
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	492 297	122 519
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(10 008)	(2 905)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	3 890	492 297

ზაზა დუდაური

